დავით ბერაძე
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
dbera18@freeuni.edu.ge

# იემენის ჰუსიტები: წითელ ზღვაში თავდასხმების გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე და კონტრტერორისტული სტრატეგიები

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია 2023 წლის 7 ოქტომბერს ჰამასის ისრაელზე თავდასხმის შედეგად შექმნილი უსაფრთხოების გარემოსთან დაკავშირებული საკითხები. ყურადღება გამახვილებული თავდასხმის შემდეგ განვითარებულ მოვლენებში იემენის ჰუსიტების ჩართულობაზე. ნაშრომში მოცემულია ჰუსიტების მოძრაობის ისტორია, პოლიტიკური მიზნები, სტრატეგია და ტაქტიკა, ჰუსიტების დაფინანსების წყაროები. კვლევა დეტალურად აანალიზებს შიიტი ჰუსიტების მიერ სუნიტი ჰამასისთვის მხარდაჭერის მიზეზებსაც და ხაზს უსვამს იმ გამოწვევებს, რომლებიც წითელ ზღვასა და ბაბ-ელ-მანდების სრუტეში თავდასხმებს მოჰყვა. წითელ ზღვაში ჰუსიტების თავდასხმა სტრატეგიულ, ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზეა გაანალიზებული. ნაშრომი გლობალურ ეკონომიკაზე ჰუსიტების თავდასხმის გავლენის ანალიზს გვთავაზობს. კვლევა ეხება ჰუსიტების წინააღმდეგ მიმართული კოალიციური ძალისხმევის ანალიზსაც და ეყრდნობა კონტრტერორისტული სტრატეგიების თეორიულ პრინციპებს. ნაშრომის შეჯამება ხაზს უსვამს წარმოქმნილი პრობლემის გადაჭრის მრავალმხრივი, კომპლექსური მიდგომის აუცილებლობას. ამ ნაწილში მოცემულია საკითხის თეორიული, აკადემიური და მეცნიერული გააზრება.

**საკვანძო სიტყვები:** ჰუსიტების მოძრაობა, იემენი, წითელ ზღვაში თავდასხმები, კონტრტერორიზმი, ირანის მარიონეტი.

*"ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია."*

ფრაზას, რომლითაც ნაშრომი იწყება საერთაშორისო პოლიტიკაში ხშირი გამოყენება აქვს და სათავეს იმ პერიოდიდან იღებს, როდესაც პოლიტიკური მიზნების მისაღწევად საზოგადოებებმა მოკავშირეების ძებნა დაიწყეს. პოლიტიკური პროცესების მყიფე ბუნება ახლო აღმოსავლეთში ძალაუფლების რეგიონულ განაწილებას ხშირად ცვლის, რის გამოც სახელმწიფოებს ალიანსების შექმნა ხშირად იმ სუბიექტებთან უწევთ, რომელთაც წარსულში ებრძოდნენ (Gause III 2010).

2023 წლის 7 ოქტომბერს, გამთენიისას, ტერორისტულმა ორგანიზაცია ჰამასმა ღაზის სექტორიდან ისრაელის სამხრეთ ნაწილზე მოულოდნელი იერიში მიიტანა. ჰამასის მებრძოლები ისრაელის კონტროლირებად ტერიტორიაზე შეიჭრნენ და საბოტაჟი მოაწყეს (BBC News 2023). მოულოდნელობის ეფექტის დასრულების შემდეგ ისრაელის თავდაცვის ძალებმა ჰამასის წინააღმდეგ შესაბამისი ზომები მიიღეს, თავდაპირველად ისრაელის ტერიტორიაზე, მოგვიანებით კი ღაზის სექტორში. IDF-ის ინფორმაციით, ჰამასის თავდასხმას 1,143 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, 252 მშვიდობიანი მოქალაქე და სამხედრო კი გაიტაცეს. ჰამასი ტყვე-

ებს დღემდე იყენებს ისრაელთან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესახებ მოსალაპარაკებ-ლად (Israel Defense Forces 2023).

გარე აქტორები, მათ შორის ირანი და ჰეზბოლა კონფლიქტში პირდაპირ და ირიბად არიან ჩართულნი. ირანი ჰამას ფულითა და იარაღით დიდი ხანია ამარაგებს, ჰეზბოლა კი ის-რაელის ჩრდილოეთ ნაწილზე სამხრეთ ლიბანიდან თავდასხმებს აწყობს (Norton 2018, 79-82). კონფლიქტში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ირანის მიერ მხარდაჭერილი ჰუსიტების მოძ-რაობაც, რომელიც იემენში ოპერირებს. ჰუსიტებმა ისრაელზე საჰაერო იერიში რამდენჯერმე მიიტანეს. გარდა ამისა ისინი საერთაშორისო გადაზიდვების გზებს წითელ ზღვაში საბოტაჟს უწყობენ. შედეგად საერთაშორისო გადამზიდი კომპანიები სუეცის არხს აღარ იყენებენ, რა-საც დიდი ეკონომიკური გავლენა აქვს (Romaniuk and Kaunert 2024).

ნაშრომის კვლევის მთავარი მიმართულება სწორედ 2023 წელს განახლებულ კონ-ფლიქტში იემენის ჰუსიტების როლის განსაზღვრა იქნება. ჩვენ მიმოვიხილავთ ჰუსიტების ისტორიას, მათ პოლიტიკურ მიზნებს და ამ მიზნების მისაღწევად სტრატეგიასა და ტაქტი-კას. გარდა ამისა, გავაანალიზებთ რატომ ეხმარება სუნიტურ ჰამასს შიიტური ჰუსიტების მოძრაობა; რამდენად მჭიდროა მათი კავშირი და როგორ ეხმიანება დასაწყისში შემოთავაზე-ბულ ფრაზას. გარდა ამისა, მიმოვიხილავთ წითელ ზღვაში თავდასხმების გავლენას გლობა-ლურ ეკონომიკასა და საერთაშორისო ვაჭრობაზე და განვიხილავთ დასავლეთის კოალიცი-ურ ძალისხმევასა და კონტრტერორისტულ სტრატეგიებს მათ შესაჩერებლად.

## თავი I: იემენის ჰუსიტები - ტერორისტული ორგანიზაციის ისტორია, პოლიტიკური მიზნები, სტრატეგია და ტაქტიკა

ჰუსიტების მოძრაობა, ოფიციალურად "ანსარ ალლაჰ"[1] 1990-იან წლებში ჩამოყალიბდა იემენის ჩრდილოეთით, საადას პროვინციაში. მოძრაობის ფესვები ზაიდიტების შიიტური სა-ზოგადოებიდან მოდის. ორგანიზაცია ჰუსეინ ბადრედინ ალ-ჰუსიმ, ზაიდიტმა კლერკმა და იემენის პარლამენტის ყოფილმა წევრმა დააარსა. ჰუსიტების მოძრაობა იემენის მთავრობის მიერ ზაიდიტების დევნისა და მარგინალიზაციის და ვაჰაბიზმის გავრცელების შედეგად აღ-მოცენდა (Weir 2007, 229-256).

თავდაპირველად კულტურულ და რელიგიურ აღორძინებაზე ორიენტირებული მოძ-რაობა მალევე განვითარდა მეამბოხე, აჯანყებულ ძალად. პირველი დიდი დაპირისპირება, საადას ომი, 2004 წელს დაიწყო, როდესაც იემენის მთავრობა ჰუსეინ ალ-ჰუსის დაპატიმრებას შეეცადა, რასაც მისი გარდაცვალება მოჰყვა. თუმცა მოძრაობას არსებობა არ შეუწყვეტია. მისი ძმა, აბდულ-მალიქ ალ-ჰუსი, მოძრაობის ლიდერი გახდა და ორგანიზაცია ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ და სამხედრო გაერთიანებად გარდაქმნა (Brandt 2017, 202-205; International Crisis Group 2009).

ჰუსიტებმა საკუთარი გავლენა 2011 წელს არაბული გაზაფხულის დროს გააძლიერეს და გაზარდეს. 2014 წელს უკვე იემენის დედაქალაქი, სანა აიღეს და გარდამავალი მთავრობა დაამხეს. ამჟამად ჰუსიტები იემენის ჩრდილოეთის ძირითად ნაწილს აკონტროლებენ, მათ შორის ისეთ სტრატეგიულ ობიექტებს, როგორიცაა ჰუდაიდას პორტი. მათ მიერ კონტროლი-რებად ტერიტორიებზე ჰუსიტები მოსახლეობას სახელმწიფო სერვისებსაც აწვდიან (Day and Brehony 2020, 233-253).

ჰუსიტების სამხედრო შესაძლებლობები ირანის მხარდაჭერით მნიშვნელოვნად გაი-ზარდა, რამაც მოძრაობას შესაძლებლობა მისცა საზღვარგარეთ საუდის არაბეთზე იერიშებიც მიეტანა. მათი სამხედრო სტრატეგია პარტიზანულ ტაქტიკებს, კონვენციურ ომსა და ფსიქო-ლოგიურ ოპერაციებს მოიცავს, რასაც ზურგს უმაგრებს ბალისტიკური რაკეტებით, დრონე-ბითა და საზღვაო ნაღმებით თავდასხმები (Juneau 2016, 655-660).

[1] ჰუსიტების მოძრაობის ოფიციალური დასახელება, ნიშნავს „ღმერთის მხარდამჭერებს" (არაბულად: انصار الله) (Zeidan 2024).

ორგანიზაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობა სხვადასხვა განშტოებებად არის სტრუქტურირებული. აბდულ-მალიქ ალ-ჰუსი მოძრაობის იდეოლოგიურ ფრთას ხელმძღვანელობს, აბდულა ალ-ჰაქიმი კი სამხედრო სტრატეგიის განვითარებაზე პასუხისმგებელი. მათი მიზანია ჩრდილოეთ იემენს დიდი ავტონომია ჰქონდეს, რათა ზაიდიტების იდენტობა დაიცვან და არ დაუშვან უცხოური ინტერვენცია, განსაკუთრებით საუდის არაბეთისა და დასავლეთის ძალების მხრიდან (Transfeld 2015, 155-158; Sharp 2021, 8).

ჰუსიტების მოძრაობას ტერორისტულ ორგანიზაციად რამდენიმე ქვეყანა მიიჩნევს, მათ შორის აშშ და საუდის არაბეთი. ამის მიზეზი კი ჰუსიტების მიერ სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე მიტანილი იერიშები გახლავთ. ჰუმანიტარული საკითხების მიუხედავად ჰუსიტების ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარების საკითხი კონფლიქტის კომპლექსურობას ხაზს კიდევ ერთხელ უსვამს (Blinken 2021).

ჰუსიტების განვითარებისა და მათი სტრატეგია/ტაქტიკის გაანალიზება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონულ კონფლიქტში მათი მოტივაციისა და მნიშვნელობის დასადგენად.

## თავი II: ჰუსიტების მოძრაობა - ორგანიზაციის დაფინანსება, ირანთან კავშირები და პოზიციები იემენში

ჰუსიტები საკუთარ ოპერაციებს როგორც ადგილობრივი შემოსავლებით, ისე საგარეო დახმარებით აფინანსებენ, რაც მათი ამბოხების კომპლექსურობას კიდევ ერთხელ ხსნის. ამ თავში მათი დაფინანსების ძირითად წყაროებს, ფინანსურ ქსელებსა და ხარჯებს გაეცნობით.

ჰუსიტების შემოსავლის ძირითადი წყარო მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე დაბეგვრა და გამოძალვა გახლავთ. ისინი გადასახადებს უწესებენ ბიზნესებს, ინდივიდებს, საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს და ასევე ჰუდაიდას პორტში საბაჟო გადასახადს აწესებენ. გარდა ამისა ფულს ადგილობრივ ბიზნესებსა და მდიდარ პირებს სძალავენ. მაგალითად, 2023 წელს სახმელეთო საბაჟო გადასახადად 50% დაადგინეს (United Nations Security Council 2023).

ნავთობის ინფრასტრუქტურის კონტროლი ჰუსიტებს შესაძლებლობას აძლევს შემოსავალი საწვავის გაყიდვიდან და რეგიონში კონტრაბანდის გატანისგანაც მიიღოს. საწვავი ჰუმანიტარული გამოყენების მიზნით რეგიონის შავ ბაზრებზე გადის (United Nations Security Council 2023).

ბანკების, ბიზნესებისა და მდიდარი პირების ქონების დაკავება შემოსავლის კიდევ ერთ წყაროს წარმოადგენს. 2016 წელს ჰუსიტებმა იემენის ცენტრალური ბანკიდან $100 მილიონზე მეტი გაიტანეს (The Embassy of the Kingdom of Saudi Arabia 2017).

ჰუსიტები იარაღის, ნარკოტიკებისა და სხვა კონტრაბანდული საქონლით ვაჭრობაშიც მონაწილეობენ. აღნიშნული სახის ვაჭრობით ისინი სამხედრო ოპერაციებს აფინანსებენ და სანქციების ეფექტს ამსუბუქებენ (OECD 2022, 12-27).

გარდა ამისა ფინანსურ დახმარებასა და შეიარაღებას მხარდამჭერებისგანაც იღებენ, როგორც იემენში, ისე საზღვარგარეთ. ირანის მხარდაჭერა წლის განმავლობაში ასეულობით მილიონ დოლარს შეადგენს და მოიცავს როგორც პირდაპირ ფინანსურ ტრანშებს, ისე შეიარაღებასა და სამხედროების მომზადებას (Robinson 2024).

ჰუსიტები არაფორმალურ ფინანსურ სისტემებს, მაგალითად "ჰავალასაც"[2] იყენებენ. ასევე მიკვლევადობის თავიდან ასარიდებლად ტრანზაქციებს ნაღდი ფულით ახორციელებენ. მათ ფინანსურ აქტივობებს ძირითადად მესამე პირი ორგანიზაციები ან ოფშორული კომპანიები ახორციელებენ (Bahadur 2020, 8-10; Almahfali and Root 2020).

[2] ჰავალა (არაბულად: حوالة – ტრანსფერი, ნდობა) – ფულის ტრანსფერის არაოფიციალური გზა, რომელიც რეალური ფულის გარეშე ხდება. სათავეს იღებს სამხრეთ აზიიდან, მე-8 საუკუნე.

რაც შეეხება დანახარჯებს, მათი ხარჯების ძირითადი ნაწილი სამხედრო ოპერაციებს (შეიარაღებისა და დრონების შესყიდვა), მებრძოლთა ხელფასებსა და კონტროლირებად ტერიტორიებზე საჯარო მმართველობას, მათ შორის სოციალური სერვისების მიწოდებას ხმარდება (Zamir 2022, 60-61). გარდა ამისა, აფინანსებენ მედია ოპერაციებს, რათა გაავრცელონ საკუთარი ნარატივები და მხარი დაუჭირონ სხვა სამხედრო დაჯგუფებებს (AlMasirah 2024).

კონტროლირებად ტერიტორიებზე ჰუსიტებმა ადმინისტრაციული ერთეული შექმნეს და საერთაშორისო დიპლომატიაშიც იღებენ მონაწილეობას, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ქვეყანა ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებს. მეტიც, ჰუსიტები მონაწილეობას 2018 წლის სტოკჰოლმის სამშვიდობო შეთანხმებაშიც იღებდნენ, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კონფლიქტის მოგვარებაში მათი როლის მნიშვნელობას (Human Rights Watch 2023; United Nations 2018).

## თავი III: შიიტური მრწამსი - სუნიტური ჰამასის მხარდაჭერა და წითელ ზღვაში თავდასხმები

ჰუსიტების მოძრაობა, იგივე „ანსარ ალლაჰ“ სათავეს შიიტური ისლამის ზაიდიტების სექტიდან იღებს, რომელიც მე-8 საუკუნით თარიღდება. მათი რელიგიური და პოლიტიკური ნარატივები სწორედ ზაიდიზმის რწმენას ეფუძნება და საფუძველს აძლევს ორგანიზაციას წინააღმდეგობა გაუწიოს იემენის მთავრობასა და საგარეო ინტერვენციას (Haykel 2022, 17-20). 983 წელს იეჰია ბინ ალ-ჰუსეინის მიერ დაფუძნებული ზაიდიტების თეოკრატიული დინასტია იემენს 1962 წლამდე განაგებდა. ამ წელს იემენში რესპუბლიკური სისტემა ჩამოყალიბდა. მიუხედავად ძალაუფლების დაკარგვისა, ზაიდიტებს მისი უკან დაბრუნების ოცნება არ გაქრობიათ (Al-Dawasari 2024). აღნიშნული ისტორიული კონტექსტი კი ნათლად ასახავს ჰუსიტების მოტივაციის სათავეს და მათ ლეგიტიმაციას მიმდინარე კონფლიქტში.

ირანის შიიტურ მრწამსთან თანხვედრით კი ჰუსიტები საკუთარ ზაიდიტურ იდენტობას უპირველესი მიზნისათვის ბრძოლის გასამართლებლად იყენებენ. ჰამასისა და ანტიიმპერიალისტური პოზიციების მიმართ მათი მხარდაჭერა კი ნათლად ასახავს საერთო ანტისიონისტურ განწყობებს. ეს თანხვედრა მათ სტრატეგიულ ოპერაციებზეც ვრცელდება, რის გამოც ირანი ჰუსიტებს შეიარაღებით ამარაგებს და ცდილობს მოძრაობის რეგიონული გავლენა და სამხედრო შესაძლებლობები გაზარდოს (Bahfi 2020, 9-12).

2023 წლის ოქტომბრის შემდეგ ჰუსიტებმა წითელ ზღვაში სავაჭრო გემებზე თავდასხმები გაახშირეს. 2024 წლის იანვრის მონაცემებით 53 ინციდენტი ფიქსირდებოდა. თავდასხმების ტაქტიკა კი დრონებითა და რაკეტებით იერიშის მიტანას გულისხმობს (U.S. Department of Transportation / Maritime Administration 2024; Raydan and Nadimi 2024). ჰუსიტების აგრესიული ტაქტიკა, მათ შორის გემების ხელში ჩაგდების მცდელობები, მათ სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონულ პოზიციონირებას ასახავს (Knights 2024, 7-9; Nevola 2024). ბუნებრივია, მათმა კამპანიამ საერთაშორისო ყურადღებაც მიიპყრო, შეაფერხა გლობალური საზღვაო მიმოსვლა და ახალი ცვლადი შემოიტანა რეგიონის გეოპოლიტიკურ დღის წესრიგში.

ჰუსიტების ქმედებები მათი იდეოლოგიისა და სტრატეგიის გამოძახილია, მხარი დაუჭიროს ჰამასს და გემებზე თავდასხმით წინააღმდეგობა გაუწიოს ისრაელსა და საუდის არაბეთის ინტერესებს. მათი სამხედრო ტაქტიკა კი დრონების, სარაკეტო თავდასხმებისა და WBIED-ის გამოყენებას ითვალისწინებს (Nevola 2024). ჰუსიტების წითელ ზღვაში თავდასხმები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რეგიონულ ძალთა გადანაწილებაში მათ როლსა და ადგილს (Minor 2024; Ali Harisi 2023).

## თავი IV: წითელ ზღვაში ჰუსიტების თავდასხმების გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე

წითელი ზღვა უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზაა, რომელიც ხმელთაშუა ზღვას ინდოეთის ოკეანესთან აკავშირებს სუეცის არხისა და ბაბ-ელ-მანდების სრუტის გავლით. გლობალური ვაჭრობის 10-15%-იანი წილით, წითელი ზღვა მსოფლიო ეკონომიკური სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი გარანტორია (U.S. Defense Intelligence Agency 2024). ბაბ-ელ-მანდების სრუტეში დღეში 60-70 დიდი სავაჭრო გემი, ნავთობის ტანკერი და სატვირთო გემი გადის. წითელი ზღვის სავაჭრო გზა ენერგობაზბრებისთვისაც უმნიშვნელოვანესია, რადგან მას ყოველდღიურად დაახლოებით 7 მილიონი ბარელი ნავთობი კვეთს (Henderson 2023). გარდა ამისა, სავაჭრო გზა მნიშვნელოვანია თხევადი ბუნებრივი აირის გადაზიდვებისთვისაც. განსაკუთრებით კი უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, როდესაც დასავლურმა ქვეყნებმა კატართან რამდენიმე მნიშვნელოვანი შეთანხმება დადეს. აღნიშნულ დერეფანში მსოფლიო ნავთობის 10%, ხოლო თხევადი ბუნებრივი აირის 8% გადაადგილდება (Kouman 2024).

ჰუსიტების ბოლოდროინდელმა თავდასხმებმა გლობალური ვაჭრობა მნიშვნელოვნად დააზარალეს. მათ რამდენიმე ათეული გემი დააზიანეს კიდეც, მსხვილ გადამზიდ კომპანიებს, Maersk-ს, CMA CGM-სა და სხვებს კი მარშრუტის ცვლილებისაკენ უბიძგეს. 2024 წლის იანვრის მონაცემებით, ბაბ-ელ-მანდების სრუტის ტვირთბრუნვა 2023 წლის მაჩვენებლის 46%-ზე, სუეცის არხის ტვირთბრუნვა კი ამავე პერიოდის 70%-ზე დაეცა. სანაცვლოდ 63%-ით გაიზარდა კეთილი იმედების კონცხის გავლით სავაჭრო გზის დატვირთვა (IMF Portwatch 2024). ჰუსიტების თავდასხმების გამო საზღვაო გზებზე შეფერხებებმა საერთაშორისო გადაზიდვები მნიშვნელოვნად გააძვირა, ამის მიზეზი კი გზის დაგრძელება და საწვავის გაზრდილი მოხმარებაა. ერთი გემის მიერ მარშრუტის შეცვლისათვის საჭირო დამატებითი საწვავის ღირებულებამ $1-2 მილიონი შეადგინა (U.S. Defense Intelligence Agency 2024), ამან კი სამომხმარებლო ხარჯებიც გაზარდა (Kouman 2024).

0.07%-დან 0.5-0.7%-მდე გაიზარდა სადაზღვევო და ომის რისკის პრემიებიც (Saul 2023). გადაზიდვების ფორმებს შორის ყველაზე დრამატულად კონტეინერით გადაზიდვის მომსახურება გაიზარდა. ნედლეულის გადაზიდვის ხარჯების მაკონტროლებელი ინდექსი, Baltic Dry Index, 2023 წლის დეკემბერში $3,000-იანი ნიშნულიდან, 2024 წლის ივნისში $1,948-მდე შემცირდა (Bloomberg 2024). სანაცვლოდ, 40-ფუტიანი კონტეინერის გადაზიდვის ხარჯი ამავე პერიოდში $1,521-დან $4,801-მდე გაიზარდა (Drewry 2024).

წითელ ზღვაში შექმნილმა არასტაბილურობამ ნავთობის ბაზარზეც იქონია გავლენა. კონფლიქტის განახლებამდე ფასების შემცირების ტენდენციის შემდეგ, ჰუსიტების თავდასხმებს ნავთობის ფასის ზრდა მოჰყვა. თუმცა, ამაზე მცირე გავლენა ჩინეთის მიერ მოთხოვნის შემცირებამაც იქონია (Henderson 2023). გარდა ამისა, BP-ს მიერ წითელი ზღვის გავლით LNG-ის ექსპორტის შეწყვეტამ, ევროპაში ბუნებრივი აირის ფასი 7%-ით გაზარდა (Katanich 2023). რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირების შემდეგ ბევრი ევროპული სახელმწიფო სწორედ გემით გადაზიდული ბუნებრივი აირისა და ნავთობის მოხმარებაზე გადავიდა. ამან კი წითელი ზღვის ტვირთბრუნვის მოცულობა კიდევ უფრო გაზარდა (Faucon, Said and Kalin 2022). მარშრუტების შეცვლის გამო წითელ ზღვით ნავთობის გადაზიდვის მაჩვენებელი 140%-ით შემცირდა (Kouman 2024).

მძიმედ დაზარალდა სუეცის არხის გადასახადებზე დამოკიდებული ეგვიპტეც, რომელსაც შემოსავალი 40%-ით შეუმცირდა (Reuters 2024). ეგვიპტის მთავრობის მცდელობამ ინფლაციის ფონზე უცხოური ვალუტის შეძენით ეკონომიკის დასტაბილურებისა, შედეგი არ გამოიღო (Alsaar 2024).

რეგიონში მშვიდობის დამყარების საერთაშორისო მცდელობების მიუხედავად, წითელი ზღვა დაძაბულობის წერტილად რჩება. მსხვილ გადამზიდთა უმეტესობამ მარშრუტის შეცვლის და კეთილი იმედების კონცხის გზის გამოყენების გადაწყვეტილება მიიღო. Fitch Rating-ის მონაცემებით აღნიშნული კომპანიების დანახარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა,

თუმცა პარალელურად გაიზარდა მათი შემოსავლებიც (Fitch Ratings 2024). ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები კიდევ ერთხელ მიუთითებს საზღვაო გზების უსაფრთხოებისათვის საერთაშორისო ძალისხმევის გაძლიერების მნიშვნელობაზე.

შეიძლება ითქვას, რომ ჰუსიტების წითელ ზღვაში თავდასხმების კამპანია 1973 წლის ნავთობის ემბარგოს სპეციფიკას იმეორებს, რაც ნაოსნობისა და საზღვაო გადაზიდვებისათვის ახალი გამოწვევაა (Office of the Historian n.d.; Krane 2024). სიტუაცია ნათლად ასახავს გლობალური ვაჭრობის მარშრუტების მოწყვლადობას რეგიონული კონფლიქტების მიმართ.

### თავი V: იემენის ჰუსიტებთან დაპირისპირება - კოალიციური ძალისხმევა და კონტრტერორისტული სტრატეგიები

წითელ ზღვასა და ბაბ-ელ-მანდების სრუტეში ჰუსიტების თავდასხმებზე პასუხი ყოვლისმომცველი გახლდათ, რასაც მრავალეროვნული კოალიცია ხელმძღვანელობს. კოალიციაში აშშ, გაერთიანებული სამეფო, ბაჰრეინი და კიდევ 20-ზე მეტი ქვეყანა ერთიანდება. კოალიციის მიზანი სანაოსნო გზების დაცვა და საერთაშორისო გადაზიდვების შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფაა.

კოალიციური კამპანიის დაწყებამდე ჰუსიტების წინააღმდეგ ქმედებები აშშ-ის საზღვაო ძალებმა განახორციელა. აშშ-მა ჰუსიტების მიერ გაშვებული რამდენიმე ათეული რაკეტა დაიჭირა და დრონი გაანადგურა. 2023 წლის დეკემბერში, აშშ-ის თავდაცვის მდივანმა უკვე „ოპერაცია კეთილდღეობის მცველი“ დააანონსა, რაც ჰუსიტების შესაჩერებლად კოალიციურ ძალისხმევას გულისხმობდა. მისიის ხელმძღვანელი აშშ-ის საზღვაო ძალების ცენტრალური სარდლობა (NAVCENT) გახლდათ, რომელიც წითელ ზღვაში საპატრულო გასვლებს და თვალთვალს აწარმოებდა. საინტერესოა, რომ კოალიციის ერთადერთი წევრი არაბული სახელმწიფო ბაჰრეინი გახლავთ, სადაც NAVCENT-ის შტაბბინა მდებარეობს (Altman 2024). კოალიციის ეგიდით რეგულარულმა პატრულირებამ ჰუსიტების წარმატებული თავდასხმები მნიშვნელოვნად შეამცირა. სადაზვერვო ინფორმაციის რეალურ დროში გაზიარების გზით კი, კოალიციამ ჰუსიტებისათვის იარაღის მიწოდების შემთხვევებიც აღკვეთა (Knights 2024, 13-15).

კოალიციის წინაშე აღმოჩენილ გამოწვევებს შორის გამოსარჩევია ჰუსიტების წვდომა თანამედროვე შეიარაღებაზე, რომელსაც ირანისგან იღებენ და მათი ადაპტირებადი ტაქტიკები. ხშირ შემთხვევაში კონფლიქტის ასიმეტრიული ბუნება ტრადიციულ სამხედრო უპირატესობას გადაწონის კიდეც (Knights 2024, 5-7). საინტერესოა, რომ „ოპერაცია კეთილდღეობის მცველში“ მონაწილეობაზე უარი თქვეს ჩინეთმა და რუსეთმა. მათი არგუმენტი კი ღაზის სექტორში სამშვიდობო შეთანხმების ადვოკატირება და კოალიციის „გაუმართლებელი“ ქმედებები გახლდათ (United Nations 2024).

ჰუსიტების წინააღმდეგ მიმართული კონტრტერორისტული სტრატეგიები სამხედრო, დიპლომატიური და ეკონომიკური ზომების ერთობლიობას გულისხმობს. გაზრდილი თვალთვალი, რეალურ დროში სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლა და უპილოტო დანადგარები ნაოსნობის უსაფრთხოების მთავარ გარანტორად ითვლება. დიპლომატიური ზომების მიზანი ჰუსიტების იზოლირება და ირანის მხარდაჭერის შემცირებაა. გარდა ამისა გაეროსა და აშშ-ის მიერ დაწესებული სანქციები ჰუსიტების ლიდერებისა და მათი მხარდამჭერების შესაძლებლობებს ამცირებს (United Nations Security Council 2023; U.S. Department of the Treasury 2023). შეგახსენებთ, რომ აშშ-მა ჰუსიტების სტატუსი განსაზღვრა, როგორც: Specially Designated Global Terrorist (SDGT), შესაბამისად ისინი არ არიან კლასიფიცირებული როგორც ტრადიციული, კლასიკური ტერორისტული ორგანიზაცია: Foreign Terrorist Organization (FTO) (Atlantic Council Experts 2024).

პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა ჰოლისტიკური მიდგომა, რომელიც აერთიანებს სამხედრო, დიპლომატიურ და ეკონომიკურ სტრატეგიებს. რა თქმა უნდა, კოალიციის საზღვაო ოპერაციები მნიშვნელოვანია, მაგრამ გრძელ ვადაში წითელ ზღვაში სტაბილურობა

ყოვლისმომცველ ძალისხმევაზე იქნება დამოკიდებული (Ronzitti 2012, 34-36). მიმდინარე კონფლიქტი ხაზს უსვამს თანამედროვე საზღვაო უსაფრთხოების კომპლექსურობას და მდგრადი საერთაშორისო თანამშრომლობისა და მოწინავე ტექნოლოგიების საჭიროების ამ საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი დერეფნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

## დასკვნა

ჰუსიტების მოძრაობის წითელ ზღვაში თავდასხმები ორგანიზაციის იემენზე კონტროლის განმტკიცებისა და გლობალური ვაჭრობის გზების შეფერხების სტრატეგიულ მცდელობას ასახავს. ირანის მხარდაჭერით მოძრაობამ შეძლო, რომ რეგიონში საკუთარი პოზიცია განემტკიცებინა და ისრაელისთვის დიდ გამოწვევად ქცეულიყო, რამაც მრავალეროვნული კოალიციის მათ წინააღმდეგ გააქტიურება გამოიწვია. კოალიციის ძალისხმევა კი ისეთ ქმედებებს მოიცავს, როგორებიცაა იარაღის მიწოდების აკრძალვა, ერთობლივი პატრულირება და სანქციების დაწესება. ჰუსიტების მიერ ჰამასთან და ჰეზბოლასთან ალიანსის შეკვრა კი რეგიონული კონფლიქტების განსხვავებულ ბუნებას უსვამს ხაზს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

Al-Dawasari, N. 2024. "The Ideological Underpinnings of the Houthis' Red Sea Attacks." *Middle East Institute,* January 22. https://www.mei.edu/publications/ideological-underpinnings-houthis-red-sea-attacks.

Ali Harisi, M. 2023. "Yemen's Houthis Vow to Attack Israeli Ships in the Red Sea." *The National,* November 22. https://www.thenationalnews.com/gulf-news/2023/11/14/yemens-houthis-vow-to-attack-israeli-ships-in-red-sea/.

Almahfali, M., and J. Root. 2020. "How Iran's Islamic Revolution Does, and Does Not, Influence Houthi Rule in Northern Yemen." *Sana'a Center for Strategic Studies,* February 13. https://sanaacenter.org/publications/analysis/9050.

AlMasirah. 2024. https://www.masirahtv.net/.

Alsaar, S. 2024. "Houthi Attacks Idle Suez Canal, Deepen Egypt's Economic Woes." *Al-Monitor,* January 10. https://www.al-monitor.com/originals/2024/01/houthi-attacks-idle-suez-canal-deepen-egypts-economic-woes.

Altman, H. 2024. "Retired Saudi Admiral On Why Arabs Won't Join Red Sea Task Force." *The War Zone,* January 8. https://www.twz.com/retired-saudi-admiral-on-why-arabs-wont-join-red-sea-task-force.

Atlantic Council Experts. 2024. "The Houthis are Again 'Specially Designated Global Terrorists.' Here's What That Means." *Atlantic Council,* January 17. https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/the-houthis-are-again-specially-designated-global-terrorists-heres-what-that-means/.

Bahadur, J. 2020. *Following the Money: The Use of Hawala Remittance System in the Yemen-Somalia Arms Trade.* Global Initiative Against Transnational Organized Crime. https://globalinitiative.net/wp-content/uploads/2020/09/Following-the-money-The-use-of-the-hawala-remittance-system-in-the-Yemen%E2%80%93Somalia-arms-trade.pdf.

Bahfi, S. 2020. *Familiar but Distinct: Understanding the Houthi Ideology and its Consequences on Yemen.* Washington DC: Embassy of Republic of Yemen in USA. https://www.yemenembassy.org/wp-content/uploads/2020/09/Houthi-Ideology.pdf.

BBC News. 2023. "Watch: How Hamas' Shock Attack on Israel Unfolded." October 7. https://www.bbc.com/news/av/world-middle-east-67041499.

Blinken, A. J. 2021. "Revocation of the Terrorist Designations of Ansarallah." U.S. Department of State. Press release, February 12, 2021. https://www.state.gov/revocation-of-the-terrorist-designations-of-ansarallah/.

Bloomberg. 2024. *BDI Baltic Exchange Dry Index.* Accessed June 16, 2024. https://www.bloomberg.com/quote/BDIY:IND.

Brandt, M. 2017. *Tribes and Politics in Yemen: A History of Houthi Conflict.* New York: Oxford University Press.

Day, S. W., and N. Brehony. 2020. *Global, Regional, and Local Dynamics in the Yemen Crisis*. Switzerland: Palgrave Macmillan.

Drewry. 2024. *World Container Index – 13 June.* Accessed June 13, 2024. https://www.drewry.co.uk/supply-chain-advisors/supply-chain-expertise/world-container-index-assessed-by-drewry.

Faucon, B., S. Said, and S. Kalin. 2022. "Europe Woos Qatar for an Alternative to Russian Gas." *The Wall Street Journal,* March 30. https://www.wsj.com/articles/europe-woos-qatar-as-alternative-to-russian-gas-11648649463.

Fitch Ratings. 2024. "Red Sea Disruptions Benefit Shipping Companies' Near-Term Profitability," March 07. https://www.fitchratings.com/research/corporate-finance/red-sea-disruptions-benefit-shipping-companies-near-term-profitability-07-03-2024.

Gause III, F. G. 2010. *The International Relations of the Persian Gulf.* Cambridge University Press. https://assets.cambridge.org/97805211/37300/frontmatter/9780521137300_frontmatter.pdf.

Haykel, B. 2022. "The Huthi Movement's Religious and Political Ideology and Its Relationship to Zaydism in Yemen." In *The Huthi Movement in Yemen: Ideology, Ambition, and Security in the Arab Gulf*, edited by A. Hamidaddin, 17-37. London: Bloomsbury Publishing.

Henderson, B. 2023. "Red Sea Disruptions Aren't Expected to Have a Big Effect on Oil Prices: Goldman Sachs." *The Wall Street Journal,* December 19. https://www.wsj.com/livecoverage/stock-market-today-dow-jones-12-19-2023/card/red-sea-disruptions-aren-t-expected-to-have-a-big-effect-on-oil-prices-goldman-sachs-fW0RaRftlWdALtOP7AgP.

Human Rights Watch. 2023. "Yemen: Events of 2022." https://www.hrw.org/world-report/2023/country-chapters/yemen.

IMF Portwatch. 2024. *Trade Disruptions in the Red Sea.* International Monetary Fund & Oxford University. Accessed June 01, 2024. https://portwatch.imf.org/pages/573013af3b6545deaeb50ed1cbaf9444.

International Crisis Group. 2009. *Yemen: Defusing the Saada Time Bomb*. Report № 86 / Middle East and North Africa, Sanaa/Brussels, May 27. https://www.crisisgroup.org/middle-east-north-africa/gulf-and-arabian-peninsula/yemen/yemen-defusing-saada-time-bomb.

Israel Defense Forces. 2023. Official Statements and Reports. https://www.idf.il/en/.

Juneau, T. 2016. "Iran's Policy Towards the Houthis in Yemen: A Limited Return on a Modest Investment." *International Affairs,* Vol. 92, Issue 3: 647-663.

Katanich, D. 2023. "European Gas Prices Soar after Egypt Reports Zero Imports." *Euronews,* October 30. https://www.euronews.com/business/2023/10/30/european-gas-prices-soar-after-egypt-reports-zero-imports.

Knights, M. 2024. "Assessing the Houthi War Effort Since October 2023." *CTC Sentinel,* Vol. 17, Issue 4 (April): 1-20.

Kouman, A. 2024. "Red Sea on Edge: Houthi Attacks Disrupt Vital Shipping Routes." *Universidad de Navarra,* February 16. https://www.unav.edu/web/global-affairs/red-sea-on-edge-houthi-attacks-disrupt-vital-shipping-routes.

Krane, J. 2024. "Houthi Red Sea Attacks Have Global Economic Repercussions." *Arab Center Washington DC,* April 5. https://arabcenterdc.org/resource/houthi-red-sea-attacks-have-global-economic-repercussions/.

Minor, A. 2024. "How the Houthis Joined the Israeli-Gaza Crisis." Interview by K. Huggard. *Brookings*, January 31. https://www.brookings.edu/articles/how-the-houthis-joined-the-israel-gaza-crisis/.

Nevola, L. 2024. "Q&A: Why are Yemen's Houthis Attacking Ships in the Red Sea?" *ACLED,* January 5: 2-12. https://acleddata.com/acleddatanew/wp-content/uploads/2024/01/Yemen-Houthi-Red-Sea-QA-2024.pdf.

Norton, A. R. 2018. *Hezbollah: A Short History.* Princeton University Press.

OECD. 2022. *Illicit Trade in Conflict-affected Countries of the Middle East and North Africa: Focus on Yemen.* Illicit Trade. Paris: OECD Publishing. https://doi.org/10.1787/f31fd13a-en.

Office of the Historian. n.d. "Milestones: 1969-1976." https://history.state.gov/milestones/1969-1976/oil-embargo.

Raydan, N., and F. Nadimi. 2024. "Tracking Maritime Attacks in the Middle East Since 2019." *The Washington Institute for Near East Policy,* August 3. https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/tracking-maritime-attacks-middle-east-2019.

Reuters. 2024. "Egypt's Suez Canal Revenues Down 40% Due to Houthi Attacks." January 12. https://www.reuters.com/markets/commodities/egypts-suez-canal-revenues-down-40-due-houthi-attacks-2024-01-11/.

Robinson, K. 2024. "Iran's Support of the Houthis: What to Know." *Council on Foreign Relations,* March 1. https://www.cfr.org/in-brief/irans-support-houthis-what-know.

Romaniuk, S. N., and C. Kaunert. 2024. "Red Sea Shipping Crisis: What's at Stake?" *Geopolitical Monitor,* January 8. https://www.geopoliticalmonitor.com/houthi-attacks-and-military-escalation-in-the-red-sea-whats-at-stake/.

Ronzitti, N. 2012. "Maritime Security and Defense Against Terrorism." In *Maritime Security and Defense Against Terrorism*, edited by B. Uzer, 33-51. Ankara: IOS Press.

The Embassy of the Kingdom of Saudi Arabia, Washington D.C. 2017. *Saudi Arabia and The Yemen Conflict.* Washington D.C.: Ministry of Foreign Affairs. https://www.saudiembassy.net/sites/default/files/WhitePaper_Yemen_April2017_0.pdf.

Saul, J. 2023. "London Marine Insurers Widen High Risk Zone in the Red Sea as Attacks Surge." *Reuters,* December 18. https://www.reuters.com/markets/commodities/london-marine-insurers-widen-high-risk-zone-red-sea-attacks-surge-2023-12-18/.

Sharp, M. J. 2021. *Yemen: Civil War and Regional Intervention.* Report: R43960. Washington D.C.: Congressional Research Service. https://crsreports.congress.gov/product/pdf/R/R43960.

Transfeld, M. 2015. "Political Bargaining and Violent Conflict: Shifting Elite Alliances as the Decisive Factor in Yemen's Transformation." *Mediterranean Politics* 21(1): 150-69. doi:10.1080/13629395.2015.1081454.

U.S. Defense Intelligence Agency. 2024. *Yemen: Houthi Attacks Placing Pressure on International Trade.* DIA Public Affairs Office. https://www.dia.mil/Portals/110/Images/News/Military_Powers_Publications/YEM_Houthi-Attacks-Pressuring-International-Trade.pdf.

U.S. Department of the Treasury. 2023. "Treasury Targets Network Financing Houthi Attacks on International Shipping." Press release, December 28, 2023. https://home.treasury.gov/news/press-releases/jy2014.

U.S. Department of Transportation / Maritime Administration. 2024. *2024-006-Southern Red Sea, Bab el Mandeb Strait, Gulf of Aden, Indian Ocean, Somali Basin, Arabian Sea, Gulf of Oman, Strait of*

*Hormuz, and Persian Gulf-Threats to Commercial Vessels.* MSCI Advisory. Washington D.C.: U.S. Department of Transportation. https://www.maritime.dot.gov/msci/2024-006-southern-red-sea-bab-el-mandeb-strait-gulf-aden-indian-ocean-somali-basin-arabian-sea.

United Nations. 2018. *Full Text of the Stockholm Agreement.* United Nations Office of the Special Envoy of the Secretary-General for Yemen, December 13. https://unmha.unmissions.org/sites/default/files/stockholm_agreement.pdf.

United Nations Security Council. 2023. *Final Report of the Panel of Experts on Yemen Established Pursuant to Security Council Resolution 2140 (2014).* Report: S/2023/130. New York: United Nations Security Council. https://documents.un.org/doc/undoc/gen/n22/770/93/pdf/n2277093.pdf.

United Nations. 2024. "Alarmed by Attacks on Ships in Red Sea, Top UN Officials Urge Protection of Global Supply Chains, Avoiding Deeper Regional Tensions, in Security Council Briefing." Meetings Coverage. Security Council. 9525th Meeting (PM), SC/15552, January 3. https://press.un.org/en/2024/sc15552.doc.htm.

Weir, S. 2007. *A Tribal Order: Politics and Law in Mountains of Yemen.* University of Texas Press.

Zamir, E. 2022. *Countering Iran's Regional Strategy: A Long Term, Comprehensive Approach.* Washington DC: The Washington Institute for Near East Policy.

Zeidan, A. 2024. "Houthi Movement." In *Encyclopedia Britannica.* Accessed June 19, 2024. https://www.britannica.com/topic/Houthi-movement.